

ინტერნეტ-გვერდზე [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge) განთავსებული ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში “ხელშეკრულების”) 8.5 პუნქტის შესაბამისად სს “თიბისი ბანკი” გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

**1. შეიცვალოს ხელშეკრულების პუნქტი 7.7 და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**

7.7 კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკისგან მისთვის მომსახურების გაწევის გამარტივების მიზნით, სწრაფი გადახდის ტერმინალების საშუალებით კლიენტის პლასტიკური ბარათისა და პინ კოდით იდენტიფიკაციის საფუძველზე, მიიღოს ინფორმაცია კლიენტის საბანკო პროდუქტებზე, სესხ(ებ)ის მიმდინარე დავალიანებაზე, მთლიან სასესხო დავალიანებაზე, ასევე ანგარიშ(ებ)ისა და პლასტიკური ბარათ(ებ)ის და მათზე არსებული ნაშთ(ებ)ის შესახებ, მოახდინოს გადარიცხვები საკუთარ ანგარიშებს შორის და სხვადასხვა სერვისების გადასახდელად, ასევე მიიღოს ინფორმაცია ბანკის მიერ კლიენტისთვის გაკეთებულ შეთავაზებებზე (მათ შორის საკრედიტო პროდუქტებზე) და სურვილისამებრ მოახდინოს შეთავაზებების მიღება (დადასტურება) ბანკის მიერ დადგენილი პროცედურების სრულყოფილად გავლის შემდგომ. შეთავაზებული საკრედიტო პროდუქტის მიღებამდე, კლიენტის იდენტიფიკაციისთვის შესაძლოა ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ დააწესოს დამატებითი მექანიზმები (მოთხოვნები), რომლის დაუცველობის შემთხვევაში, კლიენტი ვერ მოახდენს შეთავაზებული საკრედიტო პროდუქტის მიღებას (დადასტურებას).

**2. დაემატოს ხელშეკრულების 7.8 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

7.8 კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკისგან მისთვის მომსახურების გაწევის გამარტივების მიზნით, ბანკომატის საშუალებით კლიენტის პლასტიკური ბარათისა და პინ კოდით იდენტიფიკაციის საფუძველზე, მიიღოს ინფორმაცია ბანკის მიერ კლიენტისთვის გაკეთებულ შეთავაზებებზე (მათ შორის საკრედიტო პროდუქტებზე) და სურვილისამებრ მოახდინოს შეთავაზებების მიღება (დადასტურება) ბანკის მიერ დადგენილი პროცედურების სრულყოფილად გავლის შემდგომ. შეთავაზებული საკრედიტო პროდუქტის მიღებამდე, კლიენტის იდენტიფიკაციისთვის შესაძლოა ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ დააწესოს დამატებითი მექანიზმები (მოთხოვნები), რომლის დაუცველობის შემთხვევაში, კლიენტი ვერ მოახდენს შეთავაზებული საკრედიტო პროდუქტის მიღებას (დადასტურებას).

**3. შეიცვალოს ხელშეკრულების 7.9 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**

7.9 ბანკი პასუხს არ აგებს მესამე პირის მიერ სწრაფი გადახდის აპარატების / ბანკომატების მეშვეობით, კლიენტის იდენტიფიკაციისთვის აუცილებელი ინფორმაციის (პირადი ნომერი და დაბადების თარიღი ან პლასტიკური ბარათი და პინ კოდი) სწრაფი გადახდის ტერმინალში / ბანკომატში შეყვანით, კლიენტის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე.

**4. დაემატოს ხელშეკრულების 9.1.1.9 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

9.1.1.9 ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებული სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მიღებას და სურვილისამებრ, შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღებას (დადასტურებას).

**5. შეიცვალოს 9.1.2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**

9.1.2 ინტერნეტ-ბანკის საშუალებით კლიენტს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა საბანკო ოპერაცია ან/და ქმედება (მათ შორის საკრედიტო პროდუქტის მიღება (დადასტურება)) ამ ხელშეკრულებაში მოცემული და

ოპერაციის/ქმედების განხორციელების დროისთვის, ბანკის მიერ დადგენილი წესების, მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად.

**6. დაემატოს ხელშეკრულების 9.1.3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

9.1.3 ინტერნეტ-ბანკის საშუალებით კლიენტისათვის ბანკის მიერ შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მისაღებად (დასადასტურებლად), ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით, დააწესოს დამატებითი მექანიზმები (მოთხოვნები), რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტი ვერ მოახდენს შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღებას (დადასტურებას).

**7. შეიცვალოს ხელშეკრულების 11.2.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**

11.2.1 კლიენტს დალუქული კონვერტით გადაეცემა სპეციალური სატელეფონო კოდი, რომლის დასახელებითაც ხდება კლიენტის იდენტიფიკაცია სატელეფონო მომსახურების გაწევის წინ. სატელეფონო კოდის დასახელების გარეშე კლიენტი ვერ მიიღებს ამ ხელშეკრულების 11.1.1 ქვეპუნქტში აღწერილ მომსახურებას (ამ ხელშეკრულების 11.2.11, 11.3.4 და 11.3.5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა). ბანკთან ყოველი სატელეფონო კავშირისას (სატელეფონო მომსახურების მიღების ყოველ ჯერზე) კლიენტმა უნდა დაასახელოს სატელეფონო კოდის მხოლოდ სამი ციფრი (სატელეფონო სერვისცენტრის ოპერატორის მითითების შესაბამისად). კლიენტმა არ უნდა დაასახელოს სამზე მეტი ციფრი თითო ჯერზე. ხელშეკრულების 11.2.11, 11.3.4 და 11.3.5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ბანკი კლიენტის იდენტიფიკაციას განახორციელებს ხელშეკრულების 11.2.11 ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით.

**8. შეიცვალოს ხელშეკრულების 11.3.4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**

11.3.4 ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს კლიენტის მიერ ბანკში დაფიქსირებული ტელეფონის ნომერზე კლიენტთან განახორციელოს სატელეფონო ზარი მომსახურების გაწევის ან/და პროდუქტ(ებ)ით (მათ შორის საკრედიტო პროდუქტ(ებ)ით) სარგებლობის შეთავაზებისა და რეგისტრაციის მიზნით.

**9. შეიცვალოს ხელშეკრულების 14.1.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**

14.1.1 მობილური ბანკით მომსახურება გულისხმობს კლიენტის მიერ ბანკში გამოუცხადებლად მის კუთვნილ მობილური ტელეფონის აპარატში ჩაწერილი (ინსტალირებული) პროგრამული მოდულის/აპლიკაციის (შემდგომში „პროგრამის“) ან მობილურის ინტერნეტბრაუზერში გახსნილი ინტერნეტბანკის მობილური ვერსიის გამოყენებით ბანკის მიერ განსაზღვრული:

**10. დაემატოს ხელშეკრულების 14.1.1.4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

14.1.1.4 ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებული სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მიღებას და სურვილისამებრ, შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღებას (დადასტურებას).

**11. შეიცვალოს ხელშეკრულების 14.1.2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:**

14.1.2 მობილური ბანკით მომსახურების მიღებისთვის კლიენტმა საკუთარი მობილური ტელეფონის აპარატის მესხიერებაში ბანკის საინფორმაციო მასალაში მითითებული ინტერნეტ-გვერდიდან (ან სხვა აპლიკაციიდან) უნდა გადაწეროს და გაააქტიუროს სპეციალური კომპიუტერული პროგრამა (შემდგომში „პროგრამა“), ან მობილურის ბრაუზერიდან შევიდეს ინტერნეტბანკის მობილურ ვერსიაზე.

**12. დაემატოს ხელშეკრულების 14.1.5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

14.1.5 მობილური ბანკის საშუალებით კლიენტს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა საბანკო ოპერაცია ან/და ქმედება (მათ შორის საკრედიტო პროდუქტის მიღება (დადასტურება)) ამ ხელშეკრულებაში მოცემული და ოპერაციის/ქმედების განხორციელების დროისთვის, ბანკის მიერ დადგენილი წესების, მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად.

**13. დაემატოს ხელშეკრულების 14.1.6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

14.1.6 მობილური ბანკის საშუალებით კლიენტისათვის ბანკის მიერ შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მისაღებად (დასადასტურებლად), ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით, დააწესოს დამატებითი მექანიზმები (მოთხოვნები), რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტი ვერ მოახდენს შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღებას (დადასტურებას).

**14. შეიცვალოს ხელშეკრულების 14.2.1 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

14.2.1 კლიენტი საბანკო მომსახურებით (სერვისით) სარგებლობისთვის რეგისტრაციას/ავტორიზაციას ახორციელებს ამ ხელშეკრულების 11.2.1 ქვეპუნქტში აღნიშნული კოდის ან ინტერნეტ-ბანკის მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით.